



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაჰია ანტიოქიელი

იაჰია ანტიოქიელი, იბნ საიდ იბნ იაჰია ალ-ანტაქი (დაახლ. 980–1066), ქრისტიანი არაბი ისტორიკოსი და ექიმი.

შეადგინა ალექსანდრიის პატრიარქ ევტიხის (გ. 939) „მსოფლიო ისტორიის გაგრძელება „მატიანის გაგრძელება“ („თარის ალ-ზაილი“). თხზულება ორ ტომად არის დაწერილი და მთავრდება 1066 ამბებით. ნაშრომი წარმოადგენს პირველწყაროს ჩრდ. აფრიკის, სირია-მესოპოტომიისა და ბიზანტიის ისტ. შესასწავლად. მასში აღწერილია საქართველობიზანტიის ურთიერთობა კეისარ ბასილ II-ის (976–1025) დროს. კერძოდ, დავით III-ის კურაპალატად დანიშვნა; ტაოს გადასვლა ბიზანტიის ხელში, 1019 გიორგი I-ის მიერ ამ ტერიტორიის დაბრუნება; ქართველთა მეფის კავშირი ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმთან ბიზანტიის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის მოსაწყობად, ამ მოლაპარაკების ჩაშლა; ბასილის ლაშქრობა საქართველოში 1020, გიორგი I-ის დამარცხება და საქართველოს აწიოკება; ხელახალი ლაშქრობისათვის კეისრის მზადება 1022, გიორგი მეფის დამარცხება, ბაგრატ გიორგის ძის დაბრუნება კონსტანტინოპოლიდან, მისი გამეფება საქართველოში და ბასილის მიერ მიტაცებული ტერიტორიების შემოერთება.

ლიტ.: საქართველოს ისტორია, ტ. 1, თბ., 2008; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; К р ы м с к и й А., Яхья Антиохийский, Энциклопедический словарь, изд. Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, т. 82, СПб, 1904.

ბ. სილაგაძე
